რეგიონს ინგოლშტადტის (გერმანია) უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტიდან 25 მაგისტრატურის სტუდენტი ეწვია

გურიის რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გურიის გუბერნატორის ოფიციალური მოწვევითა და საკონსულტაციო კომპანია "ბრენდორ ქონსალთინგის" ორგანიზებით, რეგიონს ეწვია ინგოლშტადტის (გერმანია) უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტიდან 25 ეკონომ-გეოგრაფი მაგისტრატურის სტუდენტი.

პროფესორ ჰარალდ ფეჰლანერისა და ჰანეს თეისის ხელმძღვანელობით, სტუდენტები დღეს მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

„სტუდენტები სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში ტურისტული ადგილების პოტენციალის პირველად კვლევას განახორციელებენ. აღნიშნული კვლევის შედეგები ღირებული იქნება რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის“- განაცხადა გუბერნატორმა, მერაბ ჭანუყვაძემ.

როგორც შეხვედრაზე ინგოლშტადტის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანმა ჰარალდ ფეჰლანერმა აღნიშნა, მათი გურიაში ვიზიტის მიზანი არის იმ ტურისტული პოტენციალის დეტალურად შესწავლა, რომელიც ამ რეგიონს ტურიზმის მიმართულებით გააჩნია. უნდა დაიდოს სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ტურიზმის პოლიტიკის მართვა და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ჰარალდ ფეჰლანერი გახლავთ ტურიზმის სამეცნიერო ექსპერტების საერთაშორისო ასოციაციის AIEST-ის პრეზიდენტი და მისი თაოსნობით განხორციელებულია ტურიზმის, რეგიონალური განვითარებისა და მართვის უამრავი სამეცნიერო კვლევა წამყვანი კვლევითი ცენტრის - urac Research-ის (www.eurac.edu), ინგოლშტადტის უნივერსიტეტის (www.ku.de) და მსოფლიოში ტურიზმის ექსპერტების პირველი სამეცნიერო ასოციაციის (www.aiest.org) ფარგლებში.

ნიშანდობლივია, რომ გურიაში ვიზიტამდე პირველად საქართველოში ქალაქ თბილისში ჩატარდა ტურიზმის სამეცნიერო ექსპერტების საერთაშორისო ასოციაცია AIEST-ის 2 დღიანი კონფერენცია, რომელსაც დელეგატები მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნიდან ესწრებოდნენ.

კვლევის ეტაპზე შეხვედრები გაიმართება ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო სექტორთან, სამეცნიერო წრეების, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან, შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირებთან, მედიასთან და მოსახლეობასთან. სტუდენტები რეგიონში 13 სექტემბრის ჩათვლით დარჩებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემაზე მუშაობა კარგა ხანია მიმდინარეობდა, რომელსაც გურიის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე სოსო ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 35 (10229) 11 სექტემბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

მალაზია «ნეტული» გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გთავაზობთ საუკეთესო ნატურალური პროდუქტებს!

მისამართი. ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

რ

თამუნა ლურსმანაშვილი: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ სხვებზე ნაკლებად შემიძლია ჩემი და უბნელების ხმების დაცვა, ძალიან ცდება“

თემურ მარშანიშვილი

დიდი ალბათობით, ოზურგეთში თვითმმართველობის არჩევნებში ადგილობრივი შშმ პირების უმრავლესობა მიიღებს მონაწილეობას. საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ხელმძღვანელის რომან ლომაძის თქმით, ამ ორგანიზაციის ბენეფიციარები ყოველთვის მაღალი აქტიურობით გამოხატავდნენ თავიანთ პოლიტიკურ ნებას და არც კარსმომდგარი თვითმმართველობის არჩევნები იქნება გამონაკლისი.

რომან ლომაძე: ჩვენი ასოციაციის ბენეფიციარების არჩევნებში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ყოველთვის აღემატებოდა საარჩევნო ოლქის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს და დარწმუნებული ვარ, 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებშიც ასე იქნება. დღესდღეობით, საარჩევნო ხმის უფლების მქონე 17 ბენეფიციარი გვყავს და ვიცი, რომ უკლებლივ ყველას სურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. არ ვფლობ ინ-ფორმაციას, როგორი პირობებია საარჩევნო უბნებში, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ, ჩვენს ბენეფიციარებსა და სხვა შშმ პირებსაც, ხმის მიცემის დროს დავეხმარ-ოთ ჩვენი პანდუსით.

მიშიკო მათითაიშვილი: 23 წლის საქველმოქმედო ასოცი-აცია „გურიას“ ბენეფიციარი: არჩევნებში მესამედ ვაძლევ ხმას. უეტლოდ გადაადგილება მიჭირს და პირველ ორ შე-მთხვევაში, სახლში მოტანილ გადასატან ყუთთან მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი. ბედნიერი ვიქნები თუ 21 ოქტომბერს საარჩევნო უბანში შევძლებ ხმის მიცემას, მაინც სულ სხვაა, რომ საზოგადოებაში გამოჩნდები.

ახლა წინასაარჩევნო პერიოდს ვაკვირდები და არ მომწონს ეს აურზაური. ოპონენტებს უკიდურესად სძულთ ერთმანეთი და ვინც არ უნდა

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საოლქო კომისიის ორმა წევრმა პროტესტი სხდომის დატოვებით გამოხატა

ალიონი. 4 სექტემბერს, 60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის საკითხზე. სხდომას საოლქო კომისიის და ორი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წევრები ესწრებოდნენ.

სხდომაზე საოლქო კომისიის წევრმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან **ანდრო ნიკოლაიშვილმა** განაცხადა, რომ ბევრი საუბნო კომისიის თავმჯდომარე ვერ უზრუნველყოფდა კომისიაში კანონის მოთხოვნების მინიმალურ დაცვას და ითხოვდა გასაუბრებას საუბნო კომისიების დასანიშნ წევრებთან. ნიკოლაიშვილის წინადადება საოლქო კომისიის უმრავლესობამ არ მიიღო, რის შემდეგაც მან პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა. სხდომა დატოვა ასევე ქრისტიან-კონსერვატორული პარტიის წარმომადგენელმა **მზია წერეთელმა.**

ამ საპროტესტო სვლას კომისიის წევრობის კანდიდატების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის **დავით მჟავანაძის** განცხადება მოჰყვა: „შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლება ემზადება არჩევნების ტოტალურად გაყალბებისთვის, ამისათვის მათ ესაჭიროებათ უბნებზე პირები, რომლებიც შეასრულებენ სახელისუფლებო პარტიის დანაშაულებრივ დაკვეთას.

მოსალოდნელი გაყალბების მცდელობის თავიდან აცილებისა და ამ პირების გამოაშკარავების მიზნით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნულმა ოლქის წევრმა დღეს გამართულ განხილვაზე, კანონით მინიჭებული უფლებით, მოითხოვა კომისიის წევრობის კანდიდატებთან გასაუბრება.

აღნიშნულ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა ოლქის არც ერთმა წევრმა და გარკვეულმა ოპოზიციურმა ძალებმა, რამაც სახელისუფლებო პარტიას მისცა საშუალება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მათთვის სასურველი პირებით დააკომპლექტონ საარჩევნო უბნები.

მოვუწოდებთ ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიას, არ შეასრულონ სახელისუფლებო პარტიის დანაშაულებრივი დაკვეთა, რადგან არც ერთი დანაშაულებრივი გარიგება და ქმედება არ დარჩება რეაგირების გარეშე.“– ნათქვამია დავით მჟავანაძის განცხადებაში.

დღის ბოლოს №60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ზვიად თენიეშვილმა** ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართა.

„2017 წლის 4 სექტემბერს № 60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაიმართა სხდომა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ. შემოსული იყო 494 განაცხადი, აირჩა 372 კონკურსანტი. არჩეულთაგან 80 არის საარჩევნო ადმინისტრატორის კურსების მონაწილე, 6 არის საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებული, ხოლო 280 გამოცდილების მქონე ყოფილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

ვიხელმძღვანელეთ რა ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეკომენდაციით, პირველ რიგში, სწორედ კონკურსანტების ამ გამოცდილებას ვითვალისწინებდით - მათ შორის მათ მონაწილეობასაც საარჩევნო ადმინისტრაციის სასწავლო კურსებში.

კომისიის სხდომის დაწყებისთანავე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-დკონსერვატორების კომისიის წევრებმა საოლქო კომისიაში კონკურსანტთა არჩევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომა.

სხდომამ ჩაიარა მშვიდ გარემოში, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ორი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები - სამართლიანი არჩევნები და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ საოლქო საარჩევო კომისიის საქმიანობაში ხდება ჩარევა საუბნო-კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, რეალობისგან შორს დგას და ასეთი განცხადებები საფუძველს არის მოკლებული. დღეს ე-თ-ერთი პარტიის მიერ მედიაში გავრცელებული მონაცემები არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ამ მონაცემებში მოყვანილი პირების უმეტესობა არ არის არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად.“ - განაცხადა ზვიად თენიეშვილმა.

მანვე პასუხი გასცა ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომა მცირე დღის წესრიგით

ალიონი. 6 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში მხოლოდ ორი საკითხი იყო.

თავდაპირველად დეპუტატებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის **მერაბ ჭანუყვაძის** უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტას უყარეს კენჭი. მერაბ ჭანუყვაძე მიმდინარე წლის 21 აგვისტოს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორად დაინიშნა გურიის რეგიონში.

შემდეგ დეპუტატებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხა დაამტკიცეს.

სხდომის დასასრულს სიტყვა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ** ითხოვა. მან განაცხადა, რომ დაბა ნასაკირალის მცხოვრები სოფო არაიანი არ მოხვდა მიმდინარე წლის 24 აპრილს სტიქიით დაზარალებულთა დაფინანსებაში. მან ამასთანავე აღნიშნა, რომ ტენდერებს იგებენ საეჭვო წარმოშობის ფირმები.

დეპუტატმა **ბონდო ღლონტმა** უსაყვედურა კოლეგას: –შენ დაბის დეპუტატი ხარ და თუკი სტიქიით დაზარალებული ოჯახი არ იყო სიაში და ვერ მიიღო დახმარება, ამდენი თვის განმავლობაში რატომ არ შეატყობინე მუნიციპალიტეტს?

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **არჩილ ყაზაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმარა სტიქიისაგან ყველა დაზარალებულს. არავინ აურჩევიათ ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა კუთხით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურმა დიდი მუშაობა გასწია ამ კუთხით და საყვედურს არ იმსახურებს. კონკრეტულ ფაქტზე რეაგირებას მოახდენენ.

პროექტმა „ქალების ხმა თვითმმართველობაში“ ნასაკირალელი ქალების დიდი ინტერესი გამოიწვია

საკმაოდ რეზონანსული გამოდგა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ შეხვედრა ნასაკირალელ ქალებთან. შეხვედრა შედგა პროექტ „ქალების ხმა თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება **USAID**-ის დაფინანსებით. იმის გამო, რომ ადმინისტრაციის შენობაში შეხვედრისათვის განკუთვნილი ოთახის გასაღები ადგილზე არ აღმოჩნდა, ღონისძიება ჩატარდა ბესო ირემაძის ოჯახში, მასპინძლის მოწადინებით.

ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ქეთევან ხიდაშელმა** დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თემის მობილიზაციას, ქალთა საჭიროებების კვლევას, ტრენინგებს, თემის მობილიზაციას კანდიდატებთან შესახვედრად, არჩევნებში ქალთა მონაწილეობას, ქალთა პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და საბოლოოდ, თემში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

„სტატისტიკას თუ გადავხედავთ, დღეს ამომრჩეველთა 52%-ს ქალები შეადგენენ. პროექტში ჩართული ქალები მიიღებენ პასუხს, რატომ უნდა მივიდნენ არჩევნებზე, რატომ უნდა მივცეთ ხმა ამა თუ იმ კანდიდატს, ვასწავლით მათ, როგორ გახდნენ ლიდერები და როგორ მოაგვარონ საკუთარი პრობლემები. “ – თქვა „ალიონთან“ საუბარში ქალბატონმა ქეთევანმა.

პროექტმა „ქალების ხმა თვითმმართველობაში“ ღონისძიებაზე დამსწრე ნასაკირალელი ქალების დიდი ინტერესი გამოიწვია.

დაბა ლაითურში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა მიმდინარეობს



სამუშაოების მიმდინარეობას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ზურაბ ალავიძე** და გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

პროექტს, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს, ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს.

პროექტის ღირებულება 4 703 426 ლარია და სამუშაოებზე 23 ადამიანია დასაქმებული.

დაბა ლაითურში წყალმომარაგების სისტემის მოწყობამდე, ძველი ქსელი არ ფუნქციონირებდა და მოსახლეობას შორი მანძილიდან უწევდა წყლის მოტანა და მომარაგება.

პროექტის განხორციელების შედეგად, მოსახლეობას აღნიშნული პრობლემა მოუგვარდება და 3300 ადამიანი 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. პროექტი 2017 წლის ივლისში დაიწყო და 2018 წლის ნოემბერში დასრულდება.

თამუნა ლურსმანაშვილი: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ სხვებზე ნაკლებად შემიძლია ჩემი და უბნელების ხმების დაცვა, ძალიან ცდება“

გაიმარჯვოს, როგორ უნდა აკეთოს სახელმწიფოებრივი საქმე ასეთი სიძურვილის ფონზე?!

ერთი რაღაც მაინტერესებს, საპარლამენტო არჩევნებზე სოფლები – ბაილეთი, სილაური, ჯუმათი, ნაგომარი, ძიმითი, ნატანები, წვერმაღალა და დაბა ურეკი სხვა საარჩევნო ოლქებში მოხვდნენ. თვითმმართველობის არჩევნებში როგორ იქნება? მეგობრები მყავს ამ სოფლებიდან და მათაც ხომ მიეცემათ ხმის მიცემის შესაძლებლობა?

თამუნა ლურსმანაშვილი: არჩევნები ყოველთვის იყო ხმაურიანი და სკანდალური თემა. ახლაც ასე იქნება, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადაცდეს. ისე არ უნდა მოვიქცეთ, არჩევნებს შემდეგ თვალი ვერ გავუსწოროთ ერთმანეთს. ოზურგეთში ყველა მიცნობს და ყველამ იცის, რომ ქირქილს ვერ ვიტან ყველაზე მეტად. ნდობა გამომიცხადეს და დამკვირვებელი ვიქნები ჩემს უბანში. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სხვებზე ნაკლებად შემიძლია ჩემი და ჩემი უბნელების ხმების დაცვა, ძალიან ცდება. საკუთარი ყურით გავიგონე, როგორ თქვა ერთმა, ახლა ამან აქ რა უნდა გააკეთოსო? ღვთის წყალობით, არც თვალს მაკლია, არც ყურს და არც გონს. გადაადგილებით კი, ეტლით ისე გადავაადგილდები, ბევრი ფეხით, რომ ვერ ახერხებს. ნამდვილად მინდა, რომ მყავდეს ისეთი მერი, რომელიც ღირსეულად მოიგებს არჩევნებს, თუნდაც იგი ჩემი არჩევანი არ იყოს. ამიტომ ბოლომდე პრინციპული ვიქნები.

ლადო ხავთასი 33 წლის, ქალაქ

ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის პროგრამისტი): თუ არ ვცდები, საპრეზიდენტო არჩევნები იყო, როცა ამჟამინდელი საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ რამდენიმე ბენეფიციარი ფოთში ჩავედით და იქ, ერთ-ერთ სკოლაში საარჩევნოდ გავაკეთეთ პანდუსები. სხვათა შორის, მოეწონათ ჩვენი ნაკეთობა და დაფინანსებაც მივიღეთ შემდეგ. ეს იყო ჩემი პირველი შეხება არჩევნებთან. შემდეგ რამდენიმე ტრენინგში მივიღე მონაწილეობა. ასე რომ, მეტ-ნაკლებად ვერკვევი არჩევნების ნიუანსებში. რაც 18 წლისა გავხდი, ყველა არჩევნებში მივიღე მონაწილეობა, 2012 წლამდე სახლში მოჰქონდათ საარჩევნო ყუთი, 2012-ში კი, საარჩევნო ხმა რომ არ დაკარგულიყო, ავდექი და თვითონ მივედი საარჩევნო უბანში. წინა, საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრის დაწყებიდან, მთელი პროცესის დამთავრებამდე, კომპიუტერთან ვიჯექი და ინფორმაციები შემყავდა. ექსცესები ნამდვილად არ მომხდარა, ცოტა ხმაური კი იყო, მაგრამ ისეთი არა, პოლიციის ჩარევა რომ ყოფილიყო საჭირო. ახლაც მქონდა შეთავაზება, მაგრამ უარი ვთქვი, უბრალოდ, დრო არ მრჩება.

სკოლა 2000 წელს დავამთავრე და ისეთი სიტუაცია იყო, ქუჩაში არ გაისვლებოდა, არც საშუალება მქონდა, რომ სასწავლებლად წავსულიყავი. ბოლო სამი წელიწადი სკოლაშიც ვეღარ ვიარე, რადგან მესამე სართულზე ვსწავლობდი და ყოველდღე მესამე სართულზე ვინ ამიყვანდა და ჩამომიყვანდა?! ხელით სატარებელი ვიყავი, მერე თბილისში ვიმკურნალე და ცოტათი შემიმსუბუქდა მდგომარეობა. სამ-ოთხთვიანი ბუღალტერიის კურსები მაქვს გავლილი, ვისწავლე ინგლისური ენა, ვფლობ კომპიუტერული პროგრამების რამდემიმე სერტიფიკატს.

მე და თამუნა ლურსმანაშვილი ვიყავით კოალიციის წევრები- „დამოუკიდებელი სკოლებისათვის“ , ხელფასსაც გვაძლევდნენ თვეში ასი დოლარის ოდენობით, სკოლებში ბავშვებისთვის უნდა ჩაგვეტარებინა სემინარები, უნდა აგვეხსნა, რას ნიშნავს პანდუსი. რამდენიმე სოფლის სკოლაში ჩვენ მიერ ჩატარებულ სემინარს ჩვენი უფროსი გიორგი ძნელაძეც დაესწრო. სხვათა შორის, ჩოხატაურის საკრებულოს წევრებსაც ჩავუტარეთ ანალოგიური სემინარი. ასე რომ, თანამდებობის პირებსაც კი ვასწავლიდით. ვართ ქალაქის მერიასთან არსებული შშმ პირთა საკითხების შემსწავლელი სათათბირო ორგანოს – საბჭოს წევრები. ჩემი აზრით, ამ საბჭომ არჩევნების შემდეგაც უნდა განაგრძოს მუშაობა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გახდება მუნიციპალიტეტის მერი, რადგან შშმ პირებისათვის მართლაც კარგი საქმე კეთდება.

საია-ს ოზურგეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თამაზ ტრაპაიძეს მივმართეთ, განემარტა, საარჩევნო უბანში როგორ უნდა მოიქცეს ამომრჩეველი, ვისაც არ შეუძლია დამოუკიდებლად საარჩევნო ბიულეტენის შევსება.

თამაზ ტრაპაიძე: საქართველოს

საარჩევნო კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საარჩევნო ბიულეტების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოს ნებისმიერი პირი გარდა: ა) საარჩევნო კომისიის წევრისა, ბ) კანდიდატისა, გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დ) დამკვირვებლისა და ე) პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისა.

-რა კეთდება და რამდენად მზად არის საარჩევნო ადმინისტრაცია იმისათვის, რომ შშმ პირებმა დაუბრკოლებლად მიიღონ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა? – ამ კითხვაზე ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის **ზვიად თენიეშვილის** პასუხი ასეთია:

– საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული ამ ადამიანების მხარდასაჭერ ღონისძიებებში. შშმ ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციებს გვაწვდიან ჯანდაცვის სამინისტროდან. უკვე შეგვიძლია დავდგათ პანდუსები იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ამისი საჭიროებაა, უზრუნველვყოთ უბანი შესაბამისი კაბინითაც. მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ამ ადამიანებს, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ ხმის მიცემა.

უნდა გითხრათ ისიც, რომ ჩვენ ხშირად ვთანამშრომლობთ შშმ პირებთან. სამ საარჩევნო უბანში გვყავს კომისიის წევრად შშმ პირი, გარდა ამისა, არიან დამკვირვებლებიც. ამ ხალხს ჰქონდათ სურვილი, უშუალოდ ენახა თუ რა პროცესები ხდება საარჩევნო კომისიაში კენჭისყრამდე. ჩამოვიდა ცესკო-ს წარმომადგენელი და იმიტირებულად ვაჩვენეთ ყველაფერი.

– რამდენი შშმ ამომრჩეველი გყავთ?

– ჯერჯერობით ვერ გეტყვით. უბნები 21 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე შეიკრიბება და შემდეგ გვეცოდინება ზუსტი რაოდენობა.

– ამ წერილის ერთ-ერთმა რესპოდენტმა იკითხა: საპარლამენტო არჩევნებზე სოფლები: ბაილეთი, სილაური, ჯუმათი, ნაგომარი, ძიმითი, ნატანები, წვერმაღალა და დაბა ურეკი სხვა საარჩევნო ოლქებში მოხვდნენ. თვითმმარ-თველობის არჩევნებისთვის, ალბათ, დაგვიბრუნდება ეს საარჩევნო უბნები.

– ყველა ის უბანი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისთვის სხვა მაჟორიტარულ ოლქში მოხვდა, შემოდის ჩვენს დაქვემდებარებაში და არანაირი პრობლემა არ გვექნება.

ზვიად თენეიშვილის მიერ გადმოცემული სიის მიხედვით, საარჩევნო ოლქში შემავალი 62 საარჩევნო უბნიდან მარტივი ადაპტაცია უკვე მოწყობილია: №60/01 ზვანი-I-ის, 60/09 ლაშე-I-ის, №60/12 ლაითური II-ის, №30/13 ნარუჯის, №60/25 დვაბზუს, №60/27 ვაკიჯვრის, №60/30 კონჭკათის, №60/38 მთისპირის, №60/55 ცენტრი III-ის, №60/58 ნარუჯა II-ის საარჩევნო უბნებში.

პანდუსებით უზრუნველყოფილია: №60/04 მოიდანახე I-ის, №60/05 მოიდანახე II-ის, №60/23 ბოხვაურის, №60/24 გურიანთის, №60/31 ლიხაური I-ის, №60/34 მელექედურის, №60/45 შემოქმედის, №60/48 შრომის და №60/50 ცხემლისხიდის საარჩევნო უბნები.

სიების საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სხვა უბნებშიც გაკეთდება მარტივი ადაპტაცია და დაიდგმება პანდუსები.

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამეტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები გურიაში ინტენსიურად მიმდინარეობს

ქიმიური წამლობა ლანჩხუთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების სოფლებში (გურიანთა, სოფელ ოზურგეთი, ნიგოითი, შუხუთი, ჩიბათი, ლესა, ჩოჩხათი, სუფსა და ნიგვზიანი) ინტენსიურად მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ ამ დროისთვის 2 ათასამდე ჰექტარი ფართობია შეწამლული და წინასწარი მონაცემებით, 3 ათასამდე ჰექტრის დამუშავებაა დაგეგმილი. მავნებლის გავრცელების კერები და საკარმიდამო ნაკვეთები თერმული ნისლის ტექნოლოგიით და სამანქანე აგრეგატებით მუშავდება.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობას სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი,** მოადგილე **გიორგი იაკობაშვილი** და გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე** გაეცნენ.

„აზიური ფაროსანა გამოწვევაა აგრარული სექტორისთვის და მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ატარებენ, მათ შორის გურიის რეგიონში. ღონისძიებების პირველ ეტაპზე ჩატარებული და ამჟამად მიმდინარე წამლობის შედეგად ფაროსანას პოპულაცია შემცირდა, თუმცა მავნებელთან ბრძოლა გრძელვადიანი პროცესია და ჩვენ ვაგრძელებთ წამლობას. ამასთან მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულობა და აქტიურობა მავნებელთან ბრძოლის მიმართულებით, რაც წამლობის გარდა მექანიკური ღონისძიებების გატარებასაც გულისხმობს“- განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

„გურიის სამხარეო ადმინისტრაცია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები აქტიურად არიან ჩართულები იმ მასშტაბურ ღონისძიებებში, რომლებიც აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ ტარდება. გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მუშაობს სურსათის ეროვნული სააგენტოს ტექნიკა და სპეციალისტები. ჩვენ, სააგენტოსთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ მავნებლის გავრცელების კერების იდენტიფიცირებაში, რათა სრულად და დროულად მოხდეს ღონისძიებების გატარება. “ - აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პირველ ეტაპზე 53 ათასი ჰექტარი თხილის ფართობი დაამუშავა. მეორე ეტაპზე 50 ათასი ჰექტრის დამუშავებაა დაგეგმილი. უცხოელი ექსპერტების შეფასებით, გატარებული ღონისძიებების შედეგად მავნებლის გავრცელების გეოგრაფია არ გაზრდილა და ლოკალიზებულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში.

წერილი რედაქციას

კაკო თავდუმაძე: „სურსათის უვნებლობის სამსახური მავნებლობის სამსახურად გადაიქცა“
ნინო შეწირული: „წამლობები ჩატარდა მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების რეკომენდაციებით“



ის დამანგრეველი შედეგი, რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების გულგრილობას, არაკომპენტეტურობას, უვიცობის და მავნებლობის შედეგად მივიღეთ. საუბარია აზიური ფაროსანას მიერ მიყენებულ ზარალზე, რომელიც ჩვენს ფერმერებს, მოსახლეობას და თვით სახელმწიფოს დაატყდა თავს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მართლაც გამოყო 13 მილიონი ლარი მავნებლის ლიკვიდაციის ღონისძიების ჩასატარებლად, მაგრამ ეს ფული ეფექტურად არ დაიხარჯა. შედეგი სახეზეა. უფრო მეტსაც ვიტყვი — თანხები გაიფლანგა. დავკონკრეტდები და მხოლოდ ჩვენს რეგიონს შევეხები, გურიის სურსათის ეროვნული სამსახურიდან (უფროსი ნინო შეწირული) სამუშაოს შესრულებამდე. თუ აქედან დავიწყებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ყველა რგოლმა უდიდესი წვლილი შეიტანა ამ მავნებლურ საქმეში.

გურიის სურსათის უვნებლობის სამსახურს უნდა დაედგინა მავნებლის ინკუბაციის დრო და შემდეგ განსაკუთრებული მონიტორინგი გაწია, მავნებლის წინააღმდეგ მცენარეების შეწამვლის საქმეში.

ქ. ოზურგეთში შეწამვლითი სამუშაოები „ოზურგეთის სერვისცენტრმა“ (უფროსი ვ. სალუქვაძე) შეასრულა. სამუშაოები შესრულდა ყოვლად უპასუხისმგებლოდ და უხარისხოდ. ვაკონკრეტებ: „შლოპანსებში“ გამოწყობილი სამუშაოს შემსრულებლები, რომლებსაც არ ახლდა ენტომოლოგი წამლის დოზის განსასაზღვრად, ყოვლად უპასუხისმგებლოდ იქცეოდნენ. შესაძლოა შხამქიმიკატებს არც არ ხმარობდნენ და ისე ასხურებდნენ მცენარეს. ასხურებდნენ რომ ვამბობ, არ გამოხატავს იმ რეალობას: 20 ლიტრ ხსნარს ერთ ჰექტარ ფართობზე 20 წუთში რომ დახარჯავ და ფართობს შეწამლულად ჩათვლი, არის კი სამუშაოები ხარისხიანად შესრულებული?

შედეგი სახეზეა: თხილისა და სიმინდის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავალი დალპა და განადგურდა. ზოგიერთ ფერმერს გაუფუჭდა თხილის მოსავლის 90 %-მდე და დიდ ზარალში ჩავარდა თხილის დამამზადებლებიც.

ამ მავნებლობის გამო, პასუხი უნდა აგოს ყველა რგოლმა, რომლებსაც ხელეწიფებოდათ ამ საქმის ხარისხიანად შესრულება. მათ ხალხის ფული გაფლანგეს და შედეგი ვერ დადეს.

პასუხისმგებლობის რა მოგახსენოთ, ამის იმედი არ მაქვს, რადგან გურიის სურსათის უვნებლობის სამსახურის უფროსი ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის დანელიას მეუღლის თანაკურსელია და თავის დროზე დანელიას რეკომენდაციით იქნა დანიშნული. რაც შეეხება ვოვა სალუქვაძეს, იგი ქალაქის მერის, ბეგლარ სიორიძის მარჯვენა ხელია, რომელიც სანიმუშო შემსრულებელია ა (ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრიდან“ სხვა შეხედულებების და არამორჩილი მუშაკების დათხოვნით და „ქართული ოცნების“ წევრებისა და აქტივისტების „დასაქმებით.“ ბრჭყალები აქ შეცდომით არ დამისვამს. ისინი ჩვენს მიერ ბიუჯეტში შეტანილ თანხებს უსაქმურობაში იღებენ, რათა შემდეგ არჩევნებზე მივიდნენ და „ქართულ ოცნებას“ და მის ფავორიტს ბეგლარ სიორიძეს მისცენ ხმა. (თავის დროზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ქ. თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას ასეთივე დანაშაულზე ბრალი წაუყენა და დაიჭირა.).ბუნებრივია მსგავს მდგომარეობაში იქნება სხვა ა(ა) იპ-ებში.

აკაკი თავდუმაძე,
ქ. ოზურგეთი, უნივერსიტეტის ქუჩის მცხოვრები.

გაზეთი „ალიონი“ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი **ნინო შეწირულს** დაუკავშირდა და „აზიური ფაროსანას“ წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების გატარების შესახებ დაუსვა კითხვა:

— სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველო ოპერატიულად ჩაერთო აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში. სახელმწიფო პროგრამით დადგენილი დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა მონიტორინგი მავნებლის გავრცელების კერებში, დამონტაჟდა 3250 დამჭერი ხაფანგი და დადგინდა ქიმიური წამლობის არეალი.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით დაიგეგმა ქიმიური წამლობა. ქიმიური წამლობის დაწყების დრო განისაზღვრა მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციით. წამლობისას გამოყენებული იყო მაღალი ხარისხის ბიფენტრინის ჯგუფის პრეპარატი, რომელიც მიღებული და რეკომენდებულია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების და სპეციალისტების მიერ. გურიის რეგიონში ღონისძიებები ტარდებოდა თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში. წამლობა ჩატარდა 15000 ჰექტარ ფართობზე და დღემდე მიმდინარეობს.

ამ დროისთვის რეგიონში მობილიზებულია სპეციალიზირებული ტექნიკა. ფართობების დამუშავება ხდება თერმული ნისლის გამოყენებით და სამანქანე აგრეგატებით —გვიპასუხა მან..

ვოვა სალუქვაძე, „ოზურგეთის სერვისცენტრის“ ხელმძღვანელი: —„ოზურგეთის სერვისცენტრის“ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლის სამუშაოებს ახორციელებდნენ, სათანადო ტრენინგი ჰქონდათ გავლილი.. ჩვენ არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ თანამშრომლები არასათანადოდ ასრულებდნენ შეწამვლის სამუშაოებს. პრობლემა გლობალურია და გავრცელებული ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უცხოეთიდან ახალი ტექნიკა მიიღო ამ მავნებლის გასამკლავებლად.

საფუძველს მოკლებულია ის აზრი, რომ „სერვისცენტრში“ თანამშრომლების გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ოპტიმიზაციის პროცესი განხორციელდა არსებული კანონის შესაბამისად.

„ნატანები ადგილობრივი არჩევნების წინ“

ალიონი. 8 სექტემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საარჩევნო მედიაცენტრების პროექტის ფარგლებში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ნატანები ადგილობრივი არჩევნების წინ.“

ნატანები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებს შორის მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტია და ის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხოლოდ ერთი მაჟორიტარი წესით არჩეული დეპუტატით არის წარმოდგენილი. ივლისში ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ორგანიზებით სოფლის პრობლემების იდენფიცირების მიზნით გაიმართა შეხვედრა სოფელ ნატანების მოსახლეობასთან. შეხვედრის შემდეგ მომზადდა ფოტორეპორტაჟი, რომელიც ასახავს არსებული მუნიციპალური მნიშვნელობის პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებაში შედის.

ფოტოგამოფენის გახსნის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები. შეხვედრას უძღვებოდა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელი **გიგი მახარაძე.**

დისკუსიაში მონაწილეობდნენ ზემო ნატანების საჯარო სკოლის პერაგოგი, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „პატრიოტთა ალიანსიდან“ **ნინო საბაშვილი,** დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი **ილია ნიკოლაიშვილი,** ოზურგეთის მერობის კანდიდატის საინიცატივო ჯგუფის წევრია **ამირან ბაქანიძე,** არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე **თამარ ხიდაშელი,** არასამთავრობო ორგანიცაზია „იმედის“ (თხინვალი) თავმჯდომარე **კობა ცერცვაძე** და სხვები.

— საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც დიდი ძალა აქვს და იგი უნდა იყოს დაინტერესებული ამ საკითხის მოგვარებისთვის.

მუნიციპალიტეტს შეუძლია მოამზადოს პირველადი დოკუმენტაცია (კვლევა, ექსპერტიზა) და შემდეგ ამ შენობების შემდგომ მდგომარეობაზე იფიქროს.

არამიზნობრივი ხარჯი გახლდათ სოფელში იუსტიციის სახლის მშენებლობა, რაზედაც 800 ათასი ლარი დაიხარჯა. შეიძლებოდა სააქციო საზოგადოება „ნატანების“ კუთვნილი ადმინისტრაციული შენობის გამოყენება, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო სოფლისათვის. ბოლო პერიოდის მოვლენები გვიჩვენებს, რომ ხალხს შეუძლია ყველაფერი გადაწყვიტოს, მათ შორის — თუ ვის უნდა მისცეს ხმა —აღნიშნა **კოტე შარაშენიძემ.**

რეცენზიის მაგიერ მეგობრის პოეტურ კრებულზე

გამომცემლობა „ინტელექტმა“ დასტამბა თამაზ ხარაიშვილის პოეტური კრებული „თმენის საზღვარი“. როგორც ანოტაციიდან ვიგებთ, წიგნად აკინძული ლექსების ეს კრებული ავტორმა თავის შვილებს - თეკლას და დათას მიუძღვნა.

ლექსების ეს წიგნი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ხმაურისა და ეპიტაჟის გარეშე მიაღწიო თვითგამოხატვის საყურადღებო, ანგარიშგასაწევ დონეს, - ვკითხულობთ ანოტაციაში, რომელიც წამძღვარებული აქვს აღნიშნულ პოეტურ კრებულს.

შინაგანი დიალოგის სახით კრე-ბულში შვიდ ათეულზე მეტი ფიქრით დატვირთული პოეტური განცდაა თავმოყრილი...

ნათქვამის საილუსტრაციოდ ამ კრებულიდან ლექსი „ახლებური მუხამბაზი“ გამოდგება, რომელიც ერთ-გვარად შეიძლება ავტორისეულ კრედოდაც აღვიქვათ:

„თეთრი ღვინო,
თეთრი ლექსი,
თეთრი ქალი...
ვეღარ მშველის
ტრიოლეტი,
სონეტი და
მადრიგალი...
სიყვარული გამხელილი,
სიყვარული გათელილი,
ჩამომდნარი სანთელივით.
სიყვარული დამალული,
სიყვარული დასამალი,



მარადიც და წარმავალიც...
შენი ბროლის მკერდის გარდა,
არ მიშველის სხვა წამალი“.

კრებულის ერთ-ერთი რეცენზენტის ივანე ამირხანაშვილის თვალსაზრისით, პოეტისეულ ლექსებში იგრძნობა დროის გამძაფრებული აღქმა, რომელიც ვლინდება ტრადიციული პოეტური დუალიზმის ფორმებით...

რეცეზენტთა მიუკერძოებელი შეხედულებით, თამაზ ხარაიშვილს ნამდვილად არ უყვარს ხმაური, - ფიქრი, განცდა და ზომიერების გრძნობა აწონასწორებს მის პოეტურ ბუნებას!..

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ცოცხალი - LIVE

ნასაკირალი - სოფელი უკეთესობისათვის

შემოდგომის წვიმიან დღეს ჩვენ ულამაზესი სოფლის, ნასაკირალის სტუმრები ვართ. თუმცა აქ „მორყეული“ შენობების სიმრავლეა, მაგრამ ესეც და ბუნებაც მიმზიდველია და მაშინვე იწყებ ოცნებას - ამას რომ მოუარო, გაარემონტო და სახე შეუნარჩუნო... ჩვენ დაპირებული დარბაზის, ოთახის გარეშე აღმოვჩნდით გამგეობაში. თუმცა ბატონმა ბესიკ ირემაძემ, რომელიც ამჟამად უმუშევარია და გაიგო ჩვენი პრობლემა, სახლში მიგვიპატიჟა.

ნასაკირალელი ქალბატონები უკეთესი ხვალისათვის დაძახილზე შეიკრიბნენ. წვიმამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა –უფრო ადვილად მოიცალეს. მათი „მომცდენი“ და სტუმარი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის.“

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალბატონი **ქეთი ხიდაშელი** სიტყვას იღებს: „ - საქართველოში ამომრჩეველთა 52 % ქალია. ჩვენი მიზანია: ქალი ამომრჩევლების საჭიროებების გამოვლენა ამ საჭიროებების საარჩევნო პროგრამებსა და დებატებში ასახვა. ქალი ამომრჩევლების სეგმენტის ფორმირების ხელშეწყობა. პროექტი ხორციელდება **EWMI Access**-ის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტს ვახორციელებთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შვიდ თემში. ადრე კარადაკარ დავდიოდით, , დღეს შეგვხვდა ბატონი ბესო და დაგვეხმარა ამ შეხვედრის ორგანიზებაში. მე მგონი შევძელით ამ ქალბატონების დარწმუნება საკუთარ შესაძლებლობებში. ამომრჩეველთა უმრავლესობა ქალია, ჩვენ უნდა მოგვისმინოს ყველა სარჩევნო სუბიექტმა. მათ საარჩევნო პროგრამასა და შემდგომში სამუშაო პრიორიტეტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი მოთხოვნები, საჭიროებები. დარწმუნებეული ვარ ამ თემში ქალი ამომრჩეველი შეძლებს თავისი სიტყვის მოტანას არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგ შესაბამის სუბიექტებთან.

ამ შეხვედრის ფარგლებში შეიქმნა ქალთა საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც გააკეთებენ თემში ქალთა საჭიროებების გამოკითხვას.

ბესიკ ირემაძე: „ - მადლობა სტუმრობისათვის, ქართულ ოჯახში სტუმარი ღვთისაა. რაც შეეხება დღევანდელი დღეს, ვეთანხმები, რომ ქალებიც ისე ატიურად უნდა ჩაერთონ არჩევნებში როგორც მამაკაცები. მითი უფრო, ისინი უმრავლესობაა.

–გეთანხმებით, რომ ოჯახში საქმე ქალმა და მამაკაცმა თანაბრად გადაინაწილოს?

- რათქმაუნდა. ორივეს აქვს თავისი დატვირთვა ოჯახში, მთავარია, რომ ეს შეთანხმებით გაკეთდეს. ჩემთვის მისაღებია ვითარებიდან გამომდინარე ორივე მხრიდან ერთი, სწორი პოზიციის მხარდაჭერა.

თეონა პაპიძე, ერთ-ერთი აქტივისტია. 25 წლის ქალი ორი შვილის დედაა. მან თავისი მეგობრებივით ამ შეხვედრაზე მოსვლა და სოფლის სატკივარზე ერთობლივი ძალისხმევა აირჩია:

თეონა პაპიძე, „–დღევანდელი შეკრების შედეგად ვაპირებთ ქალბატონ ქეთისთან თანამშრომლობით შევუდგეთ სოფლის პრობლემების კვლევას და პრიორიტეტების გამოვლენას. რათა შემდგომში მათი მოგვარების საკითხი დავსვათ თანამდებობის პირებთან. ჩვენი თანამშრომლობა შედეგიანი იქნება. სასიამოვნო და საპასუხისმგელოა საკუთარი წვლილის შეტანა სოფლის საწუხარის მოგვარებაში. ეს კი იმდენია, რიგითობის მიხედვით ვერც დავალაგებ – ბაღი, შიდა და ცენტრალური გზა, სკოლა. შევისწავლით ხალხის დამოკიდებულებას და გამოვლენილ პრიორიტეტს მივიტანტ ხელისუფლებამდე ბიუჟეტში გასათვალისწინებლად.

–ბატონო ბესო, რა აწუხებს თქვენს სოფელს ყველაზე მეტად?

– ძირითადი პრობლემაა შიდა და ცენტრალური გზები. იყო ამაზე საუბრები. იმედია შედეგიც გვექნება.

ქალბატონი ქეთი: „ –ახლა ბატონმა ბესომ ახსენა გზა. ზოგადად ასე ხდება, როცა მარტო მამაკაცები წყვეტენ პრობლემებს, მათ ხედვაში ხვდება მხოლოდ მათი საწუხარი. დარწმუნებული ვარ, ქალთა საჭიროებების კვლევა წარმოაჩენს მრავალფეროვან პრიორიტეტს – ბაღს, წყალს, გზას... ეს არის განსხავებული ხედვა და ამიტომ გვინდა მეტი ქალი პოლიტიკაში და რადგანაც ეს ასე არ არის, უნდა შევახსენოთ პოლიტიკოსებს ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

ბატონო ბესო: „ დღეიდან ვამჩნევ, ჩემს სოფელში ქალთა გააქტიურებას“.

ჩვენც შევამჩნიეთ. თეონას გვერდით მსხდომნი ახალისებდნენ ჩურჩულით – დაიწყე და შენთან ვართო... სხვებიც.

ასეთი იყო წვიმიანი დღე პრობლემებით დახუნძლულ, ერთ დროს დიდი რუსეთის იმპერიის რევოლუციის ფლაგმან ნასაკირალში და იმედია სხვ სოფლებშიც – გურული ქალები დაძახილს ელოდება.

ლია კილაძე

ვიდეოს ნახვა შეგიძლიათ ფეისბუქზე, გვერდი **ცოცხალი – LIVE**

გურიის გუბერნატორი შპს „რეალექსპერტის“ დირექტორს მაია ნიკოლეიშვილს შეხვდა

გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან და შესაბამისი სამსახურის წარმომად-გენლებთან ერთად, შ.პ.ს „რეალექსპერტ“-ის დირექტორს მაია ნიკოლეიშვილს შეხვდა, რომელიც მუნიციპალიტეტებში მიმდინარე და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს საზედამხედველო მომსახურებას გაუწევს.

სამუშაო შეხვედრაზე დაწვრილებით განიხილეს რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გზები დასახეს.

ახალი სასწავლო წლიდან იკრძალება სკოლის ბუფეტებში არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა

ახალი სასწავლო წლიდან იკრძალება სკოლის ბუფეტებში არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა. შესაბამისი ბრძანება გამოსცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ. ბრძანების თანახმად, სასკოლო კვების ორგანიზებისას აიკრძალება: საღეჭი რეზინის, კანფეტების, შოკოლადის, არომატიზებული წასახემსებლების (ჩიფსები, ჟელიბონი და ა.შ.) გაყიდვა, გარდა თხილეულის, ხილისა და ბოსტნეულის, რომელთაც მარილი, შაქარი ან ცხიმი აქვთ დამატებული. იკრძალება ასევე - მაიონეზით შეზავებული პროდუქციის, სოკოს, ასევე დაკონსერვებული პროდუქტების, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმის, მინერალური წყლის გარდა სხვა გაზიანი სასმელების, თერმულად დაუმუშავებელი კვერცხის გაყიდვა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ლიხაურში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში 2 ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

შეკეთდა ლიხაურის ცენტრსა და ნიაბაურის ტერიტორიაზე არსებული საფეხმავლო ხიდები. პროექტის ჯამური ღირებულება 21241 ლარს შეადგენს.

შესრულებული სამუშაოები გურიის გუბერნატორმა, მერაბ ჭანუყვაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე - დავით დარჩიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, არჩილ ყაზაიშვილმა, გამგებლის მოადგილემ, ბადრი გობრონიძემ დაათვალიერეს.

სამუშაოები შეასრულა შპს „ჯორჯიან ბილდინგ კომპანიმ.“

ქ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი 2017-18 სასწავლო წლისთვის აცხადებს 6-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრში ფუნქციონირებს:

ინგლისურის წრე;
მათემატიკის წრე;
ლიტერატურის წრე;
ჭადრაკის წრე;
სამსტრადო სიმღერების შემსწავლელი წრე;
ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „ჯუთა“,
ევროპული ცეკვების ანსამბლი;
ხალხურ საკრავთა ანსამბლი „მარული“;
ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „დილა“;
თეატრალური სტუდია „ჯუნიორი“.

სწავლა უფასოა.საბუთების წარმოდგენის ვადაა 6-25 სექტემბერი. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.
მის: ქ.ოზურგეთი:; ვ.დოლიძის ქ.10
საკონტაქტო ტელეფონი: 577-18-02-23; 577-41-79-27

მადლობის ბარათი

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლა 2017-2018 სასწავლო წელსაც გარემონტებულ, სუფთა და სასიამოვნო გარემოში იღებს პირველკლასელებს. ეს ქალაქის მერის ბატ-ონ ბეგლარ სიორიძის დამსახურებაა.

სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, მშობლები მადლობას უხდის ბატონ ბეგლარს დახმარებისთვის და მომავალშიც გვაქვს მისი თანადგომის იმედი.

ასევე მადლობას ვუხდით ბატონებს ლავრენტი ბიგვავასა და გია ხუჭუას სკოლისადმი გამოჩენილი მზრუნველობისა და ყურადღებისთვის.

ყველა მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. წარმატებები იყოს თქვენი მეგზური ყველგან და ყველაფერში.

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია

„ანასეულის ახალი სიცოცხლე - ახალი შესაძლებლობა“

ანასეული, პროექტის - „ანასეულის ახალი სიცოცხლე - ახალი შესაძლებლობა" პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. დენდროპარკში დაირგო 21 სახეობის 150-ზე მეტი მცენარე, მოეწყო სრულიად ახალი სკვერი და განახლდა დასასვენებელი ლოკაციები. დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩვენთან ერთად იშრომა. განსაკუთრებული მადლიერება კი სასიქადულო ანასეულელს, ბატონ პეტრე ცანავას, რომლის უშუალო დახმარებით და ქველმოქმედებით შესაძლებელი გახდა ასეთი მასშტაბური სამუშაოების განხორციელება

მადლობა

ვარ ოთხმოცი წლის. გარევაჭრობით გამყავს ოჯახი. აპრილის სტიქიურმა მოვლენებმა დამიზიანა საცხოვრებელი სახლი, რომელიც მთლიანად გადასახურავი შეიქნა.

ერთ დღეს, სადაც ვვაჭრობ, ბორდიურზე ფეხი წამოვკარი და დავეცი. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ორი თვის განმავლობაში თბილისში ვმკურნალობდი.

როცა დედაქალაქიდან დავბრუნდი, თვალებს არ დავუჯერე, ჩემი სახლი მთლიანად გადაეხურათ.

თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის მერიის ხელმძღვანელობას ასეთი სასიხარულო სიურპრიზისათვის.

გიული ტორიტაძე,
ქ. ოზურგეთი, ერისთავის №29

ხსოვნა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება სოფლის მეურნეობის პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარის, კეთილშობილი პიროვნების **გივი ქორიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი





№ 34-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — შორენა გვეტაძე; დიახ — კი; ერთგვარი კაფე — კაბარე; სანათი საშუალება — ჭრაქი; რესტორანი ლიხაურში — ჭყიმარტე; ქვასროლია ბიჭი — სესე; ყურძნის ჩენჩო — ჭაჭა; წვრილი ფული — ხურდა; ძვირფასმერქნიანი მცენარე — ურთხმელი; ტროპიკული ხილი — ბანანი; ტბა საქართველოში — ფარავანი; ქართველი პოეტი — ალიო მირცხულავა; მდინარე აბაშის მუნიციპალიტეტში — ტეხურა; სუბტროპიკული მცენარე — ჩაი; ვასეს ტიპის ციტრუსი — მიაგავა; ყურძნის მოსავლის აღება — რთველი; შენ მეგრულად — სი; კავშირი — და; უბანი თბილისში — ვერა; მგალობელი ფრინველი — იადონი; ქალაქი რაჭაში — ონი; შეძახილი — უიმე; შემაღლებული ადგილი ეკლესიაში — ამბიონი; ყვავილი — შროშანი; მუხის ნაყოფი რკო; ჭირის შემცველი სასუქი — დოლომიტი; კერამიკის სახურავი — კრამიტი; მდინარე ბრაზილიაში — ამაზონი; მდინარე რუსეთში — დონი; ილია მოფერებით — ილო; პირველი რიცხვი — ერთი; ჭალი რუსულად — ლუსტრა; ჩიტების ჟრიამული — რია; ერთიანი ნარდში — იაქე; ვულკანის მასა — ლავა; ქალის სახელი — ლიზი; თუთიყუშის სახეობა — რა; ხისგან გათლილი სკამი — ვკორკო; ერთ-ერთი ერისთავი — ნერსე.

თეატრის დირექტორის ამპლუაში

დასაწყისი იხ. გაზ. „ალიონი“ №31,32

ცნობილი პუბლიცისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჯანუყვაძის შემოქმედებიდან

სისხლსავსე თეატრალური ცხოვრებიდან არაერთი ხასიათური ეპიზოდი დამამახსოვრდა.

ჩემს დროს დადგმული სპექტაკლებიდან თავიანთი მაღალმხატვრული დონით, რეჟისორისა და მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობით გამოვყოფდი: რეჟისორ ნ. იონათამაშვილს (გ. ნახუცრიშვილის „მოსამართლე“), ს. ახალაძის „ნინოშვილის გურიას“, ვ. ჩიგოგიძის (ს. კლდიაშვილის „ქმუშაძის გასაჭირს“) და სხვა არაერთ წარმატებით განხორციელებულ დადგმას.

... ერთხელაც ჩოხატაურში გვქონდა გასვლითი სპექტაკლი „მკვლელობა სადგურში“.

იმხანად ისეთი პერიოდი იდგა, როცა ყურძნის მწიფობა იწყებოდა.

ნებისმიერ ოჯახში შაქარსა და ღვინის ჭურჭელს იმარაგებდნენ.

ოზურგეთლები განსაკუთრებით ჩოხატაურის რაიონის სოფლებს: ბუკისციხესა და საჭამიასერს ეტანებოდნენ, რადგანაც იქ დალოცვილი „ცოლიკური“ ხარობს.

მართალია, გზებზე, თითქმის ყველა ნაბიჯზე საკონტროლო ხერგილები იყო გამართული...

ჩვენმა ბუღალტერმა, უაღრესად სტუმართმოყვარე კაცმა ჟორა ბერიძემ ისარგებლა თეატრის დასის ჩოხატაურში გასვლით და გადაწყვიტა შეძენილი ყურძენი იმ სატვირთო მანქანით გამოეპარებინა ხერგილზე, რომელზედაც დეკორაციები იყო დაწყობილი...

აღნიშნული მანქანა გზაში არც უნდა გაეჩერებინათ და არც გაეჩხრიკათ.

ამ სპექტაკლში ვაჟა ვადაჭკორიაც მონაწილეობდა.

გამგზავრების წინ ავტობუსში ამოსული ბუღალტერი რომ დაინახა, შეეკითხა:

—ჟორა ბიძია, აბონემენტების ფულის ამოსაღებად მოდიხარ, ხომ?

—ახლა, ბიძიკო, ყურძნის წამოსაღებად მოვდივარ, ბუკისციხეში დაკვეთა მაქვს მიცემული. სანამ თქვენ სპექტაკლს ითამაშებთ, ფირობაზა (სატვირთოს მძღოლი გახლდათ), ბუკისციხეში ამარბენინებს და ჩამოგისწრებთ...

მათი საუბარი ამით დასრულდა.

სპექტაკლის შემდეგ ყველა ავტობუსში ამოვიდა, ჟორას გარდა, რომელიც სატვირთო ავტომანქანას უნდა გამოჰყოლოდა შესაძლებელი ინციდენტის მოსაგვარებლად. ჟორას ბუკისციხეში შეძენილი ყურძენი, დაახლოებით 500 კილოგრამი, საგულდაგულოდ ჰქონდა დეკორაციებში მიმალული.

ავტობუსმა სატვირთოს საკმაო მანძილით გაუსწრო და ხერგილთან მისვლამდე გზიდან გადადგა.

სპექტაკლის ერთ-ერთი მოქმედი პირის - მილიციელის ტანსაცმელი ვაჟა ვადაჭკორიამ ჩაიცვა, ხელში ზოლებიანი ჯოხი („დუბინკა“) დაიკავა და როგორც კი სატვირთო გამოჩნდა, წინ გადაუდგა.

ჟორა მანქანიდან ჩამოხტა და იმის იმედით, რომ თეატრის ხსენებახე უსიტყვოდ გაატარებდნენ, ომახიანად მიესალმა მილიციელს:

—სალამი, უფროსო, ჟორა ბერიძე გახლავართ, თეატრის ბუღალტერი... დეკორაციები მიგვაქვს.

—თეატრის დეკორაციები არ ვიცი მე, მანქანა უნდა შევამოწმო, - მკაცრად უთხრა ვაჟამ. თან თვალი გააპარა, ხომ ვერ მიცნოო, მაგრამ ჟორა ისე იყო დაბნეული, აზრზე არ მოსულა. - არ იცი, რა ამბებია, რაიონი გეგმას ვერ ასრულებს, თქვენ კი ყურძენს ეზიდებით...

—ამ ხნის კაცის არ გეჯერათ? გეუბნებით, დეკორაციებია.

—მაგასაც ვნახავთ... შალვა, ერთი მაგ ფანარი მომიტანე! - გასძახა ვაჟამ სიბნელეში ვითომდა თავის თანაშემწეს, რამაც ჟორაზე დამრთგუნველად იმოქმედა.

—კაი ახლა, - უთხრა ჟორამ - მე თეატრის ბუღალტერი ვარ... აჰა, შენ ხუთი მანეთი და გამიშვი...

მოტყდა ჟორა და ფული ამოიღო.

—მე შენი მათხოვარი ხომ არა ვარ? - იყვირა ვაჟამ.

მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო:

—აჰა, შენ ხარ ის ბუღალტერი, თეატრის აბონემენტებში რომ ხელს აფათურებ და საწყალ მსახიობებს ფულს უტეხავ? მაგ საქმეს ამოვაქექინებ, იცოდე...

ჟორას კანკალი დააწყებინა, მაგრამ სულაც არ უფიქრია, თუ საიდან უნდა სცოდნოდა უცნობ მილიციელს თეატრის ამბები. მერე გადაწყვიტა, რაც იქნება, იქნებაო და გაუბედა:

—კაი მაშინ, აჰა შენ ოცდაათი მანეთიდა გამიშვი, თორემ არც შენ გერგება ეს ყურძენი და სულაც ზარალში წავა...

—კარგი, ოღონდაც არავის უთხრა... თეატრის სიყვარული რომ არ მქონდეს, ასე არ გაგიშვებდი. აწი ფრთხილად იყავი და მსახიობებს ფული არ მოაკლო, იცოდე...

გახარებული ჟორა, რომ ხიფათიდან ასე იოლად გამოვიდა, სასწრაფოდ შეხტა მანქანაში და მძღოლს დაძვრა უბრძანა.

მეორე დღეს ამ ამბავზე მთელი ოზურგეთი ლაპარაკობდა...

ჟორას ოდნავადაც არ გამოუხატავს წყენა, პირიქით, ის 30 მანეთი ბიჭებს აჩუქა და მარანი დაალოცვინა., მერე კი ასე წვალებით დაწურულ ღვინოზე ბიჭები სახლშიც დაპატიჟა და თამადად ვაჟა ვადაჭკორია დააყენა...

მოგონებები ჟურნალისტური წარსულიდან

ჟურნალისტური საქმიანობა თავიდანვე მიტაცებდა.

მაშინ წერილიც კი გამოვაცხვე და პუბლიკაცია რაიონულ გაზეთშიც კი გაიბეჭდა.

თუმცა, წერილს ერთგვარი კურიოზიც მოჰყვა, - გაზეთში დაბეჭდილი მასალა ვეღარ ვიცანი: რომელიღაც ლიტერატურულ მუშაკს ზედმეტი გულმოდგინებით გადაეკეთებინა...

წერილი ასახავდა ჩვენს სოფელში ჩატარებული ადგილობრივი მხატვრული თვითშემოქმედებითი კონცერტის ანალიზს.

რაღა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა, რადგანაც მე, როგორც უშუალო დამსწრეს, უკეთ მომეხსენებოდა ყოველივე, გაზეთის მუშაკი კი თვითნებურად მისწორებდა.

ვაღიერებ, საჩხუბრად განვეწყვე...

მაშინ გაზეთის თანამშრომლებს ჯერ კიდევ ხეირიანად არ ვიცნობდი, ხოლო გამოსაქვეყნებელ წერილებს სულაც ფოსტით ვაგზავნიდი რედაქციაში.

იმხანად გაზეთის რამდენიმე თანამშრომელი გვესტუმრა მუზეუმში. ერთმანეთი გავიცანით.

იმხანად ლიტერატურულ მუშაკს, შემდგომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიზო ჭელიძეს წრფელად გაეხარდა ჩემი ნახვა და მაშინვე გადამეხვია, თანაც მითხრა: შენი ნაჯღაბნის სწორებამ გადამიყოლაო...

—აჰა, ესე იგი, ეს თქვენ ბრძანდებით-მეთქი? — და დაურიდებლად შევუტიე...

გიზომ ჩვეული იუმორით ისე წარმართა ჩვენი დიალოგი, რომ იმ დღეს, რომ იტყვიან, ერთმანეთს პირზე კოცნით დავშორდით...

იქიდან მომდინარეობს ჩვენი გულითადი მეგობრობა.

ერთმა წერილმა, უფრო სწორედ ფელეტონმა („შემოქმედებითი აზრები“), მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა (აღნიშნულ წერილში ასოც არ იყო ჩასწორებული) და ჩემი შემოქმედებითი ბედიც სხვა მიმართულებით წარმართა.

წერილის გამოქვეყნებიდან მესამე თუ მეოთხე დღეს რედაქციაში გამიმიძახეს.

ლამის გული ამომვარდნოდა შეუცნობი წინათგრძნობისაგან... რედაქციაში აღელვებით შევაბიჯე ბატონ ვახტანგ ჯაყელის კაბინეტში, რომელიც ჩვეულებისამებრ ფეხზე წამოდგომით მომესალმა და შინაურულად მომიკითხა...

მაშინვე დავწყნარდი, რახან უმალ მივხვდი, ცუდი არაფერი არ უნდა მომხდარიყო.

ცოტაოდენი გასაუბრების შემდეგ, პირდაპირ დამისვა კითხვა, ვისურვებდი თუ არა რედაქციაში მუშაობას...

ეს ჩემი ოცნების ასრულება იყო: მიმიღეს ლიტერატურულ თანამშრომლად, ხოლო ამ ადგილზე მომუშავე გიზო ჭელიძე სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ დააწინაურეს...

ჩემზე ერთი კვირით ადრე მოვიდა რედაქციაში ელგუჯა შევარდნაძე (მალე ჩვენ მორდუ-ნათლიები გავხდით და ისიც ბატონი ვახტანგ ჯაყელის ინიციატივით).

ვახტანგ ჯაყელს სოფელ ასკანაში, სადაც ელგუჯა შევარდნაძე სკოლაში ისტორიას ასწავლიდა, აღნიშნული კოლმეურნეობის კედლის გაზეთი ენახა და ისე მოსწონებოდა მისი გაფორმება, პირდაპირ გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად მოიწვია და არც შემცდარა, - გაზეთმა სულ მალე სხვა იერსახე შეიძინა...

გაზეთის საშტატო შემადგენლობაში რამდენიმე საგულისხმო ცვლილება განხორციელდა...

რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ სხვადასხვა თანამდებობზე გადავიდნენ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი გამოშვების კადრები: თამაზ სალუქვაძე (საქართველოს რადიოს კორესპონდენტად), მიხეილ სალუქვაძე (მელექედურის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად, შემდგომში ქართული დოკუმენტური ფილმის დირექტორად დაინიშნა), ნუგზარ ქინქლაძე (ნატანების მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად), პროფესიით ისტორიკოსი მინდია თავაძე (საქართველოს ტელევიზიის თანამშრომლად, მალე გამოიჩინა თავი „ოქროპირის“ დაარსებით).

იმხანად რედაქციაში მოღვაწეობდნენ: რედაქტორის მოადგილე მამია კილაძე, წერილების განყოფილების გამგე ანა ართილაყვა, კორექტორი ლამარა სიმონიშვილი, ლიტმუშაკი ვასო მექვაბიშვილი, ბუღალტერი ქსენია კალანდაძე, ფოტოგრაფი ამირან აბულაძე.

ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ გაზეთს განუზომელი ძალა ჰქონდა. გაზეთის ფურცლებზე გაკრიტიკების ყველას განსაკუთრებით ეშინოდა, რადგან ამას კარგი შედეგი არ მოსდევდა. გაზეთის ძალას, რა თქმა უნდა, განაპირობებდა მაგარი რედაქტორის სიძლიერე, პირდაპირობა, ნაკლოვანებების მხილებაში დაუნდობლობა. რედაქტორი თვითონ იშვიათად წერდა, მაგრამ თუ დაწერდა რაიმეს, კალამი მართლაც ძალზე მახვილი ჰქონდა.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფელეტონის განყოფილება „შავი შაშვი ჩიოდაო...

ქვეყნდებოდა ნარკვევები, ჩანახატები, ეტიუდები, ოპერატიული წერილები, სტატიები, სიგნალები ადგილობრივი თემატიკიდან...

ველობიდან არ გამორჩენოდა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე.

გაზეთს თავის გარშემო დარაზმული ჰყავდა კორესპოდენტთა დიდი არმია.

მის ფურცლებზე არაერთმა დამწყებმა პოეტმა თუ პროზაიკოსმა აიდგა ფეხი, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს რედაქციასთან არსებული ლიტერატურული საბჭო. გაზეთი გამოდიოდა კვირაში სამჯერ 15-16-18 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით და მასზე ხელმოწერა პრობლემას არ წარმოადგენდა.

გაზეთს არ ჰქონდა არავითარი დოტაცია, პირიქით, დიდ მოგებას აძლევდა სახელმწიფოს...

რედაქციაში მისვლისთანავე აქტიურად ჩავები გაზეთის საქმიანობაში. 1960 წელს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი გავხდი.

უსათუოდ უაღრესად საინტერესოა გაზეთში მუშაობა, მაგრამ ზოგჯერ მოსაბეზრებელიც კი ხდება საგაზეთო მასალების ასაღებად აქეთ-იქით გაუთავებელი სირბილი, მაგრამ აღნიშნულის წყალობით რედაქციის მუშაკი უკვე პროფესიონალად ყალიბდება...

განცხადება

იყიდება
სოფელ ბაილეთში თხილით გაშენებული 0,82 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კაპიტალურად შეღებილი ხის „კუხნა“ სახლით. პერსპექტიულია სამოსახლოდ და მეურნეობისათვის. 250 ძირი თხილი მსხმოიარეა, 150 ძირი – 2 წლის. დაგვიკავშირდით: (599) 44 15 49; (599) 03 94 95 (იკითხეთ თამაზი)

იყიდება:
ბელეტაჭი სახლი მიწის ნაკვეთით, 1500 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთით, ოზურგეთი, ქორიძის –9; ვაკიჯვარში 500 კვ. მეტრი საგარაკე ნაკვეთი. ტელ. 593 36 40 07. ვახტანგი.

იყიდება:
მიწები – ს. ოზურგეთში – 3 000, ურეკში - 400, კაპროვანში –400 კვ.მ; ქალაქ ოზურგეთში, ქორიძის №9-ში – სახლი ბელეტაჭზე, 1500კვ. მ მიწის ნაკვეთით; ვაკიჯვარში – საგარაკე ნაკვეთი 1500 კვ.მ. ტელ. 593 36 40 04.

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმნათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საჭიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისი მუდმივად არის წლის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ახლავს მასწავლელების ენერგიის მობილიზება, მოსწავლის განწყობა – მიიღოს განათლება, მშობლის მოლოდინი – რომ მეცი საფუძველი შეუქმნას მომავალ თაობას. დიდი სიყვარულით ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ოზურგეთელ პედაგოგებსა და მოსწავლეებს. სხვა წარმატებებთან ერთად ეს წელი ვვლავ ფოფილიყოს თეატრისა და სკოლის ერთობლივი პროექტის „სკოლა და თეატრი“ წარმატებების წელიწადი.

ვასო ჩიგოგიძე,
ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ჩვენო ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო, მშობლებო! გილოცავთ ახალ სასწავლო წელს და თოჯინების თეატრის 39-ე სეზონის დაწყებას. ეს სასწავლო წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის წარმატებისა და გამარჯვების წელი.

გვიგულეთ თქვენს გვერდით.

ლაშა კუტალაძე
ოზურგეთის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი

შპს **„ვასაძის პური“** გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

მის: გამრეკელ ეპისკოპოსის ქ. №1

ბატონ არსენ კეჭაყმაძეს! პროფესორს, აკადემიკოსს, ოზურგეთის საპატიო მოქალაქეს და კაცურ კაცს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ წელთა სიმრავლეს და ჯანმრთელობას!!!

მეგობრები: ბახუტა ოთხმეზური, ნუგზარ ასათიანი, თემურ მარშანიშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, კულტურის დამსახურებულ მუშაკს, თხინვალელ კოლორიტსა და პოეტს, რამდენიმე წიგნის ავტორს, ბატონ გალაქტიონ ღლონს ვულოცავთ დაბადების 91-ე წელს. ვუსურვებთ ჯანმთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს.

გაზეთ „ალიონის“ თანამშრომლები.

ს/ს „იმედი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

იყიდება

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში
300-კაციანი
საბანკეტო დარბაზი.

დაგვიკავშირდით:
მობ. (514) 03 80 03.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას; პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 სექტემბერი ორშაბათი	12 სექტემბერი სამშაბათი	13 სექტემბერი ოთხშაბათი	14 სექტემბერი ხუთშაბათი	15 სექტემბერი-პარასკევი	16 სექტემბერი შაბათი	17 სექტემბერი კვირა
მზე, +16+27	მზე, +18+28	მზე +16+30	მზე +17+30	მზე, ღრუბელი +16+25	მზე, +17+25	მზე, +16+25